საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 653/ი

26 07 2019წ.

ქ. თბილისი

„პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 მაისის №99/ნ ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული ფორმის მიხედვით პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის შევსების გზამკვლევის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსის 2019 წლის 11 ივნისის №736752 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, „პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 მაისის №99/ნ ბრძანების მე-3 მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 მაისის №99/ნ ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული ფორმის მიხედვით პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის შევსების გზამკვლევი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად (ამ ბრძანების დანართში მოხსენიებულია, როგორც დიპლომის/სერტიფიკატის დანართის შევსების გზამკვლევი).

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების გამოქვეყნება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.eqe.ge.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

გიორგი ვაშაკიძე

დირექტორი

დანართი

დიპლომის/სერტიფიკატის დანართის შევსების გზამკვლევი

ზოგადი რეკომენდაციები

დიპლომის/სერტიფიკატის დანართი (შემდგომში - დანართი) წარმოადგენს დიპლომის/სერტიფიკატის დანამატ დოკუმენტს. ის არ არის დიპლომის/სერტიფიკატის შემცვლელი დოკუმენტი, თუმცა, მასში დეტალურად არის აღწერილი დიპლომის/სერტიფიკატის მფლობელი პირის მიერ მიღწეული უნარები და კომპეტენციები.

დანართი ივსება კვალიფიკაციის გამცემი უფლებამოსილი ორგანოს მიერ და მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

- დიპლომის/სერტიფიკატის სახელწოდება ქართულ-ინგლისურ ენებზე;
- დიპლომის/სერტიფიკატის მფლობელის მიერ მიღწეული უნარები და კომპეტენციები;
- დიპლომის/სერტიფიკატის მფლობელისათვის შესაძლო დასაქმების პოზიციები;
- დიპლომის/სერტიფიკატის გაცემის ოფიციალური საფუძველი;
- დიპლომის/სერტიფიკატის მიღების ოფიციალურად აღიარებული გზები;
- სწავლების სრული ხანგრძლივობა;
- დაშვების წინაპირობები;
- დამატებითი ინფორმაცია;
- ინფორმაცია ეროვნული კვალიფიკაციების სისტემის აღწერის შესახებ;
- საკონტაქტო იურიდიული პირი ეროვნულ დონეზე.

შენიშვნა:

- ეს დანართი ივსება მხოლოდ პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის შემთხვევაში;
- დანართი არ წარმოადგენს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- დანართი არ წარმოადგენს მასში აღნიშნული სწავლის შედეგების აღიარების ავტომატურ გარანტს;
- დანართი, მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია ითარგმნოს სხვა ევროპულ ენაზე.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დანართის შინაარსის ერთიანი გაგების უზრუნველსაყოფად, მისი შევსებისას მიზანშეწონილია ამ გზამკვლევით გათვალისწინებული წესების დაცვა.

დანართის შევსების დეტალური სახელმძღვანელო

პუნქტი 1: დიპლომის/სერტიფიკატის სახელწოდება

(დიპლომის/სერტიფიკატის სახელწოდებაში იწერება: პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი - დიპლომი)

1. დიპლომის/სერტიფიკატის სახელწოდება (GE)
საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
(1) მშობლიურ ენაზე

(სახელწოდების შემდეგ, ფრჩხილებში მიეთითება ორიგინალის ენა ISO-ს კოდის შესაბამისად: GE)

პუნქტი 2: დიპლომის/სერტიფიკატის ნათარგმნი სახელწოდება

2. დიპლომის/სერტიფიკატის ნათარგმნი სახელწოდება (EN)
Basic Vocational Qualification in Electricity
(1) თარგმანს არ გააჩნია იურიდიული ძალა

(სახელწოდების შემდეგ, ფრჩხილებში მიეთითება ორიგინალის ენა ISO-ს კოდის შესაბამისად: EN)

პუნქტი 3: უნარები და კომპეტენციები

პუნქტი მოკლედ აღწერს დიპლომის/სერტიფიკატის მფლობელის მიერ მიღწეულ ძირითად უნარებსა და კომპეტენციებს (აუცილებელია ჩამოითვალოს დიპლომის/სერტიფიკატის მფლობელის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები).

სწავლის შედეგები განსაზღვრულია შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, საიდანაც შესაძლებელია მათი დანართში გადმოტანა.

3. უნარები და კომპეტენციები
დიპლომის/სერტიფიკატის მფლობელს შეუძლია: 1. გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება; 2. გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები; 3. დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში; 4. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით; 5. გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები; 6. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის, კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით; 7. შექმნას და წარადგინოს პროექტი.

პუნქტი 4: დიპლომის/სერტიფიკატის მფლობელისათვის შესაძლო დასაქმების პოზიციები

საქმიანობა/დასაქმების შესაძლებლობა, რომელიც შეესაბამება დიპლომის/სერტიფიკატის მფლობელს. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები განსაზღვრულია შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, საიდანაც შესაძლებელია მათი დანართში გადმოტანა.

4. დიპლომის/სერტიფიკატის მფლობელისათვის შესაძლო დასაქმების პოზიციები
• ელექტრიკოსი • ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟე • შენობის ელექტრიკოსი

- მომმარაგებელ-ელექტრიკოსი
- ელექტრო-მექანიკოსი
- ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟე
- განათების სისტემების მემონტაჟე
- ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟე
- დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟე
- ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟე
- ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟე
- მზის ენერგიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟე

(*) განმარტებითი ბარათი
ამ ნაწილის შინაარსი უცვლელი უნდა დარჩეს.

პუნქტი 5: დიპლომის/სერტიფიკატის გაცემის ოფიციალური საფუძველი

- **დიპლომის/სერტიფიკატის გამცემი დაწესებულების სახელწოდება და სტატუსი**

უნდა მიეთითოს დიპლომის/სერტიფიკატის გამცემი დაწესებულების სრული სახელწოდება და სტატუსი, ასევე, მისი მისამართი, საფოსტო ინდექსი, ტელეფონი/ფაქსი, ვებგვერდის მისამართი და ელექტრონული ფოსტა, დაფუძნების თარიღი და ავტორიზაციის თარიღი.

- **აღიარების მიმნიჭებელი ეროვნული ორგანოს სახელწოდება და სტატუსი**

უნდა მიეთითოს აღიარების მიმნიჭებელი ეროვნული ორგანოს (დაწესებულებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი ორგანოს) სრული სახელწოდება და სტატუსი, ასევე, მისი მისამართი, საფოსტო ინდექსი, ტელეფონი/ფაქსი, ვებგვერდის მისამართი და ელექტრონული ფოსტა.

- **კვალიფიკაციის დონე**

კვალიფიკაციის დონე მიეთითება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) დონისა და განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCED-2011) პროგრამის დონეების შესაბამისად. აგრეთვე, იხელმძღვანელეთ შესაბამისის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში პროგრამის არსებული შესაბამისი ჩანაწერებით. მაგ.:

- ✓ საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მესამე დონე;
- ✓ საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეოთხე დონე;
- ✓ უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეხუთე დონე.

- **შეფასების სისტემა/საგამოცდო მოთხოვნები**

აღნიშნულ ქვეპუნქტში აღწერილი უნდა იქნეს შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა განსაზღვრულია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში (სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება) და შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ შესაბამისი ჩანაწერებით.

დამატებით შესაძლებელია შემდეგი ჩანაწერების გაკეთება:

ჩააბარა:

- ✓ პრაქტიკული: ყველა ძირითადი/აუცილებელი უნარები ჩაბარებულია ყველა ეტაპზე, სამუშაო ადგილზე შეფასების ჩათვლით;
- ✓ თეორია 70% - წარჩინებით.

- **დაშვება განათლების შემდეგ დონეზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

უნდა აღინიშნოს, იძლევა, თუ არა დიპლომი/სერტიფიკატი განათლების შემდეგ დონეზე დაშვებას. შესაძლოა დაეყრდნოთ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ველის შევსება არ არის სავალდებულო.

- **საერთაშორისო შეთანხმებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აღინიშნეთ ნებისმიერი საერთაშორისო შეთანხმება (ორმხრივი/ერთობლივი აღიარება, კვალიფიკაციის შესაბამისობა და სხვა). აღნიშნულ ინფორმაციას შესაძლებელია მოიცავდეს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი. აღნიშნული ველის შევსება არ არის სავალდებულო.

- **სამართლებრივი საფუძველი**

უნდა დაზუსტდეს დიპლომის/სერტიფიკატის სამართლებრივი საფუძვლები და საჭიროებისამებრ, მითითებული უნდა იქნეს შესაბამისი წყარო, მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დასახელება და სტანდარტში მითითებული სამართლებრივი საფუძვლები.

მაგალითად:

- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ;"
- „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო."

პროფესიული სტანდარტები:

- მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ოსტატი;
- მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ტექნიკური ექსპლუატაციის სპეციალისტი;
- დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი;
- ელ. ამძრავისა და ელ. მომმარაგებელი დანადგარების ტექნიკოსი (1000 ვ-ს ქვემოთ);
- მექატრონიკის ტექნიკოსი;
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი.

კლასიფიკატორები:

- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.);
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO);
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატოტი (ISCED).

პუნქტი 6: დიპლომის/სერტიფიკატის მიღების ოფიციალურად აღიარებული გზები

განმარტეთ ამ კონკრეტული დიპლომის/სერტიფიკატის მიღების გზა ან მათი ერთობლიობა.

მიღებული პროფესიული განათლების აღწერა

- პროგრამა (ნაწილობრივ ან სრულად) ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სამუშაო ადგილის/სასწავლო საწარმოს ბაზაზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით და ხანგრძლივობა (საათი/კვირა/თვე/წელი)

პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია წინმსწრები (არაფორმალური/ფორმალური) განათლების აღიარება.

პროცენტი (%) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში:

- მიუთითეთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საერთო ხანგრძლივობიდან საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე დახარჯული დროის %.

- მიუთითეთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საერთო ხანგრძლივობიდან სამუშაო ადგილზე (მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკულ ნაწილზე) დახარჯული დროის %.
- მიუთითეთ, რა გზით შეიძლება წინმსწრები (არაფორმალური/ფორმალური) განათლების აღიარება პროგრამის ფარგლებში.

ხანგრძლივობა (საათი/კვირა/თვე/წელი)

- მიუთითეთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საერთო ხანგრძლივობიდან საგანმანათლებლო დაწესებულების გაზაზე დახარჯული დროის რაოდენობა;
- მიუთითეთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საერთო ხანგრძლივობიდან სამუშაო ადგილზე (მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკულ ნაწილზე) დახარჯული დროის რაოდენობა.

სწავლების სრული ხანგრძლივობა

უნდა მიეთითოს სწავლების სრული ხანგრძლივობა, მაგ.: 2 წელი.

6. დიპლომის/სერტიფიკატის მიღების ოფიციალურად აღიარებული გზები		
მიღებული პროფესიული განათლების აღწერა	პროცენტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში (%)	ხანგრძლივობა (საათი/კვირა/თვე/წელი)
საგანმანათლებლო დაწესებულება	50%	12 კვირა
სამუშაო ადგილი/სასწავლო საწარმო	50%	12 კვირა
აღიარებული წინმსწრები (არაფორმალური/ფორმალური) განათლება		
სწავლების სრული ხანგრძლივობა		2 წელი

- **დაშვების წინაპირობები**

დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, საიდანაც შესაძლებელია მათი დანართში გადმოტანა. მაგ.:

➢ საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისთვის დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება;

- **დამატებითი ინფორმაცია**

ამ ნაწილის შევსება არ არის სავალდებულო, თუმცა, შესაძლოა შეივსოს საჭიროებისამებრ და მიეთითოს შემდეგი ინფორმაცია: პრაქტიკული მომზადების ტიპი, პროფესიული მომზადების სისტემის სტრუქტურა და პროგრამა, შეფასების პროცედურა და სხვა.

- **ინფორმაცია ეროვნული კვალიფიკაციების სისტემის აღწერის შესახებ**

მიეთითება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდის მისამართი - www.eqe.ge

- **საკონტაქტო იურიდიული პირი ეროვნულ დონეზე**

მიუთითეთ: საკონტაქტო პირის სახელწოდება და მისამართი (ვებგვერდის ჩათვლით).
მაგ.: **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი** www.eqe.ge